საქართველოს მთავრობის განკარგულება

N371 2013 წლის 26 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მართვაში არსებულმა შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ" (შემდგომში - კომპანია) უზრუნველყო საქართველოს მთავრობის 2012 წლის 19 ოქტომბრის №1898 განკარგულების საფუძველზე გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება საკუთარი სახსრებით;

ბ) „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება უნდა უზრუნველყონ ყვარლისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებმა.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად კომპანიის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამინისტროს გამოუყოს 3 000 000 (სამი მილიონი) ლარი კომპანიის კაპიტალის გასაზრდელად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
№ 4126 " 30 " 04 2013 წ.
ფურცელი

3. თანხის გადარიცხვის პროცედურების განსახორციელებლად სამინისტრომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის, 65-ე, 66-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად, უზრუნველყოს კომპანიასთან „თანხების გადარიცხვის შესახებ" ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება.

4. კომპანიამ უზრუნველყოს სამინისტროსათვის ინფორმაციის მიწოდება გადარიცხული თანხების ხარჯვის შესახებ თითოეული გადარიცხული თანხის სრულად გახარჯვის შემდეგ ან სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.

საქართველოს მთავრობა №1

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი